

5  
1954

# ს რ ი ა ს ბ ი



**თვითკრივიკული  
გამოსვლა**

ნიაზი: თვითკრიტიკის  
სახით უნდა აღვნიშნო,  
რომ ძველად ხშირად  
სტამბიდან გამოსვლა  
მაგვიანდებოდა, — ამი-  
ერიდან ყველა ჩემს  
საკბილოს ასეთი იმე-  
დიც ნულარ ექნება!..

## „სავაჭრო ანბანი“

ინგლისის სკოლებში სწავლისათვის გამოიზნულ თანხების შემცირებასთან დაკავშირებით იგრძნობა სახელმძღვანელოების სიმცირე.

და, აი, ინგლისის დიდმა სავაჭრო ფირმებმა გადასწყვიტეს დაეხმარონ დიდი ბრიტანეთის უპატრონოდ მიგდებულ სკოლებს და თავიანთი წვლილი შეიტანონ სწავლა-განათლების საქმეში.

ამას წინათ, მათ მილიონიანი ტირაჟით გამოსცეს შესანიშნავად გაფორმებული ანბანი და სკოლებს უფასოდ დაურიგეს.

ამ, ერთი შეხედვით კეთილშობილურ თაოსნობას, ალტაცების მეტი რა უნდა გამოეწვია განათლების თავდადებულ მუშაკთა შორის, მაგრამ...

მაგრამ ანბანის ახლო გაცნობით ირკვევა ბიზნესმენების ამ ქველმოქმედების მთელი ბუნება. დავიწყოთ წიგნის სახელწოდებიდან. ანბანის გარეკანზე ასე სწერია: „ინგლისური სავაჭრო ანბანი“. გაუხსნათ წიგნი და ავილოთ თუნდაც ასო „კ“, რომელსაც თან ახლავს შემდეგი შინაარსის ლექსი:

„კ“-თი იწყება სიტყვა „კედბერი“,  
ეს სიტყვა გულებს გაგებლისებთ...  
— „მოდით „კედბერთან“, მხოლოდ „კედბერთან“,  
„კედბერი“ ჰყიდის კბილის ჯაგრისებს.

ასეთი შინაარსის ლექსებითაა აჭრელებული „სავაჭრო ანბანი“. ერთი უმღერის მოტოციკლების გამომშვებ ფირმას, მეორე — ნარინჯებით მოვაჭრეებს, მესამე — ნაყინის დამამზადებლებს და ასე შემდეგ...

მაშასადამე, ვაჭრებმა მიზნად დაისახეს ბავშვებს ანბანთან ერთად ჩაწოლილი საქონლის ყიდვაც ასწავლონ.

აი, თურმე რა ფასად სთავაზობენ ინგლისელი ვაჭრები მოზარდ მოსწავლე თაობას თავიანთ უფასო დახმარებას.

## ჩაჩილილი ხაზარა

ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ გრინვილში, ამას წინათ დანით მოჰკლეს ზანგი ჯო კანინგემი. მკვლელი, ვინმე რობერტ ნიუმენი, რომელიც მკვლელობის ჩადენის მომენტში ამავე ზანგთან ქეიფობდა, გაასამართლეს და, როგორც უურნალი „ტიამი“ იტყობინება, ორი წლის პატიმრობა მიუსაჯეს. ზედმეტი არ იქნება მკითხველს მოვაგონოთ, რომ ქალაქი გრინვილი სამხრეთ კაროლინის შტატში მდებარეობს და ამ შტატის კანონით კაცის მოკვლა 30 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. მაშ რატომ გამოუტანეს ასეთი „სასტიკი“ განაჩენი კაცისმკვლელ რობერტ ნიუმენს? ამის შესახებ თვითონ მოსამართლეს პრიუიტს მოვუსმინოთ:

— თქვენ ღმერთმა სხვადასხვანაირი შეგქმნათ, — განუცხადა მოსამართლემ ბრალდებულს; — თქვენი ამფსონები თეთრკანიან ადამიანთა შორის უნდა მოგენახათ.


ერთი სიტყვით, ნიუმენი მხოლოდ იმისათვის დასაჯეს, რომ ზანგთან იქეიფა.

უცნაური იურიდიული ხუმრობაა: კაცის მკვლელი მხოლოდ შავკანიანთან ქეიფისათვის ისჯებოდეს და მოსამართლის ჯიბე კი შავი საქმის კეთებით ივსებოდეს.

უჩინ-მარინი

ნახ. მ. აბაშიძისა

ნახ. ი. მასინახი




საქონელი ეგვიპტეში  
როცა გადმოიტვირთა...

უკვე ინგლის-ამერიკის  
„ძმობა“ აღარ ვვიკვირდა.

ამერიკელი ძინა (საფრანგეთს) — ჩემო ტურფავ,  
ჯენტლმენობა მოითხოვს დავუთმოთ ხვარძელი,  
მახ ზელში ქუძუმწოვარა ბავშვი ჰყავს...

სურათების ეს გამოფენა „სიცილის ოთახისათვის“ განკუთვნილი რეკლამა არ გეგონათ. პირველ და მეორე რიგში მოთავსებული პირველი ფოტოსურათები განლავთ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კულტსამეურნეო წარმოების ხელმძღვანელების ბორის აფონჩენკოსი და ლია პაპუნოვას ნორმალური პორტრეტები. პირველ და მეორე რიგში თანმიმდევრობით მოთავსებული მეორე და მესამე ფოტოსურათი გადაღებულია მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოს მიერ გამოშვებულ სარკეში, სიმაღლეზე და სიგანეზე ჩახედვის დროს. იყურებიან ხსენებულ სარკეში ხსენებული ამხანაგები და გულიანად იცინიან, რადგან მათ მომხმარებლის გაბიაბრუება იოლად შერჩათ. ჩვენ კი გვინდა, რომ ხსენებულ სარკეში ჩახედვისას მხოლოდ მომხმარებელს უხაროდეს.



ნატალია კონსტანტინოვნა

## შეუთქი ძმები

ჩვენ ორნი ვართ. მნახველები შეგვეურებენ თვაღ-წამწამში, მე და გოგი ერთ ღღუს გავჩნდით, სწორედ ერთ და იმავე წამში.

ღეღამ უცბად დაიძახა: „ვიშ, ერთმანეთს როგორ გვანან!“ მამამ უთხრა: „არა უშავს, ვერ გავარჩევთ შვილებს განა?..“

მაგრამ, აი, უკვე გადის თითქმის ოცდაათი წელი, ერთმანეთში ვერვინ გვარჩევს, სტუმარი თუ მასპინძელი!

მახსოვს, გოგი ცუდღუტობდა, აბრაზებდა ჩვენს ძალღს—მწევარს, ის გაიქცა... მაგრამ მე კი, დაკბენილი ღღუსაც ვწევარ.

მახსოვს, ბევრი თაფლი ჭამა, ეგონა, რომ არ აწყენდა... წამალი კი მე მაყდაპეს, სალი კუჭის გასაწმენდათ.


ერთხელ შოფერს ასე ვუთხარ: „დანიშნულ დროს გაჩნდი მაღე!“ მანქანაში გოგი ჩაჯდა, მე ღოდინით დავილაღე.

ქაღს მოვწონდი... როგორ მსურდა ვყოფილიყავ მასთან ახლოს, გოგიმ ცოლად მოიყვანა, სიღედრი კი—ჩემთან სახეღბს.

აღბათ გოგი რომ მოკვდება, შეეშდებათ სათვადავში: მეშინიან, იმის ნაცვღად მე არ ჩამდღონ ცივ საფღავში.

ღღუს კი ვხარღბ... გსურთ შეიტყოთ ჩემი საქმე როგორ არი? — როცა გოგი ღექსებს ბეჭღავს, მე მეღღევა ჰღონორარი.

თარღმანი  
ი. ზარიშაშვიღისა



იყო და არა იყო-რა, უკეთესი რა იქნებოდა; სადგურ ვაზიანში იყო ერთი მალაზია, ყავდა დირექტორი და მერე როგორი: ძმაკაცები სულ იმის მზესა ფიცულობდნენ. გვარად გურგენიძე გახლდათ, სახელად პავლეს ეძახდნენ.

მშვიდობის მოყვარე კაცი იყო პავლე, 800 მანეთი ხელფასი ჰქონდა, ლუქმა ყელზე არ ადგებოდა და პატიოსნებასაც უქებდნენ.

— ალალი იყოს, პავლე, გაამოს და კეთილად შეგარგოსო.—ესმოდა ყოველ მხრიდან.

მაგრამ პავლეს უეტრად ჰამის მადა მოემატა და ისეთი ქეიფი გააჩადა, რომ მის ძმაკაცებს გამოსაფხიზლებლადაც აღარ ეცალათ. ისეთ სადღეგრძელოებს ეუბნებოდნენ, რომ პავლეს თავი ხელმწიფის ტოლი ეგონა. სიმღერასაც სულ „მასვი-მა-ჰამეს“ უმღეროდნენ და ტკბილი სიტყვებით გულაჩუყებული პავლეც თავის ძმაკაცებს ჰიქას ჰიქაზე უესებდა და სულ მრავალქამიერში, თუ ბუქნა-ბუქნაში იყო.

ერთ დღეს პავლემ საანგარიშო მოითხოვა: გაკრა, გამოკრა, ჯამს დახედა და ერთი ისეთი ამოიგმინა, რომ სართი-ქალაში ხეზე ტკბილად შემომჯდარმა ბელურებმა პაერში შეიფრთხილეს.

— ვახ... მაშ 80.000 მანეთი შემიჭამია?!—გაიკვირვა პავლემ და თავის წინ გამწკრივებულ ცარიელ ნახევარ ლიტრიან არყის ბოთლებს მუშტი მოუღერა.

— თქვენ დამლუპეთ და თქვენ უნდა მიშველოთ!

## გონებაგამჭრიახი დიკაქვორი

ნახ. ირ. გორდელაძისა



— მართლაც რომ გონებაჩლუნგი თანამშრომლები მყავს, დაუინებოთ მწერენ: „ამხანაგო დირექტორო, ჩვენი ხაქონელი უხარისხობის გამო არ სადღებო, ვახ, ამაზე ადვილი რა არის, დაანარჩუნონ და გასაღდება.“

— ჩვენ რა შუაში ვართ? ღმერთი არა გწამს? რა დავა-შავეთ ისეთი?

— ჩუმად იყავით და მარტო ის მითხარით ფერის შეცვლა ხომ არ იცითო.

— აჰ... რას ბრძანებთ, პავლე, არტელ „მშრომელთა კავშირის“ საამქროში შეღებილი ხომ არა ვართ, რომ ფერი გამოვიცვალოთო.

— აბა, მაშ არც ვაზიანის წყალმა იცის ფერის გამოცვლა და არაყს რომ წყლის ფერი აქვს, ეს ხომ ცნობილიაო.

ჩაასხა პავლემ 1.154 ნახევარლიტრიან ბოთლში წყალი, ზედ „სურგუჩი“ დაასხა, სამტრესტის ბეჭდით აღნიშნა და ყაფაზეზე ისე ჩამოარიგა, რომ კაცი სანამ საბოლოო გამოცდას სასულესთან არ გაუქეთებდა, ვერ მიხვდებოდა წყალი იყო შიგ, თუ არაყი.

წავიდა პავლე ქალაქ თბილისში და თელავის ქ. № 50-ში უცნაური სურათი დაინახა: ერთ კაცს ხელში ლიტრიანი ბოთლი ეჭირა და ისე აჯანჯლარებდა, რომ თავზარდაცემული შხეფები ბოთლის კედლებს თავს ურტყამდნენ.

— რას აკეთებ, კაცო, რა მოგივიდაო?—შეეკითხა პავლე.

— ამ ბოთლში ცოტა სპირტი ჩავასხი და ბევრი წყალი, ახლა ჰკუას ვასწავლი და ვერ მისწავლებიაო!

— კი, მაგრამ როგორ უნდა ასწავლო ჰკუაო?!

— როგორ და ეს წყალსპირტი როცა სამტრესტის არაყს დაემსგავსება, მაშინ იქნება ჰკუანასწავლი, შემდეგ იარლიყს მივაკრავ, სურგუჩის პირზე დავასხამ და ინსტიტუტდამთავრებულიც მაშინ ვახდებო. აი, ამისათვის ვტანჯავ მაგასაც და ჩემ თავსაც, მაგრამ დღემდე ჰკუა ვერ ვასწავლეო.

— შენმა არაყმა ლაპარაკი ხომ არ იცისო?—შეაპარა პავლემ.

— უჰ... რას ამბობ? ლაპარაკს მეც ძლივს ვახერხებ, ისეთი მორცხვი ვარ, რომ ყოველ წუთში ვწითლდებიო.

— რა დედამ გაგაჩინა ასეთი მორცხვი, ვინ ხარ, რა სულიერი ხარო?

— სურენა ვარ მნაცაქანის-ძე, ტატულოვი მაქვს გვარი. ერთი საწყალი კაცი ვარ, პური ქადაში ვერ გამირჩევიაო.



— რას აფასებ მაგ შენ უნიჭო წყალსპირტს, მითხარ, იქნება მე ვასწავლო ჰკუაო.

— რა ვქნა, ძალიან საწყალი გული მაქვს, ამ გულითა ვარ დალუპული, ალალი და უსაყვედურო იყოს შენზე, ძმაო, 28 მანეთად მომიცია ლიტრა წყალსპირტი და დანარჩენი შენ იცოდეო.

დაკრეს ხელი, დალოცეს გზა და ვაზიანში ბუქნა-ბუქნით ავიდნენ.

პავლემ წყალსპირტს გზაში ზოგი რამ „შეასწავლა“ და ვაზიანში შთლად „ნასწავლი“ აიყვანა, 40 მანეთი ფასი დაადო და სამტრესტის სახელით მონათლა.

და განაგრძო პავლემ პურისქამა. მართალია ხშირად ეს-მოდა აქეთ-იქიდან ჩურჩული: „არამია, პავლე, არ შეგერგებო“, მაგრამ პავლე კვლავ დიდხანს განაგრძობდა პარპაშს. ბოლოს კი არც პავლეს შერჩა!



არავისთვის ახალი ამბავი არ არის ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანს, ელექტროსინათლის მომჭირნეობით ხარჯვისათვის განსაკუთრებულ ზომებს ვღებულობთ.

მაგრამ აქ მხოლოდ ერთი შემთხვევის შესახებ გიამბობთ.

ნიანგის რედაქციაში ჩვენი ძველი ნაცნობი პროფესორი დიმიტრი ბ-ძე შემოვიდა და ნახევრად ტრაგიკული ტონით განაცხადა:

— მომეხმარეთ, სინათლე გამომითიშეს, უკუნეთი ჩამომიგდეს.

— ნუ ღელავთ, პატივცემულო დიმიტრი, — ერთად შევეგებეთ ნიანგის მთელი შტატი, — სინათლის მეტი რა გვაქვს, მთელი ქალაქი განათებულია.

— ბატონო, ვინ თქვა სინათლე არ არისო, ეს ჩემთვის არ არის, თორემ მთელი ქალაქი მართლაც განათებულია. ვის გინდათ, რომ სინათლე არ უნთია. მე ამომიჩემეს მარტო, კოტივით ბნელში ვზივარ, შრომა დაუმთავრებელი დამრჩა, დრო განსაზღვრული მაქვს, მარტო დღე მუშაობით საქმის დამთავრებას ვერ მოვასწრებ, — იძახდა პროფესორი და ოთახში განათებულ ელნათურას ისე ხარბად შეეყურებდა, თითქოს ათი წლის დაკარგული შვილი იპოვნაო.

სტუმარი დავამშვიდეთ და აუხსენით, რომ ეს შემთხვევა, ალბათ, მისივე დანაშაულით არის გამოწვეული; რომ მან, შესაძლებელია, ელექტროლუმელი ჩაურთო დენს და ელდენს მომჭირნეობით არ ხარჯავს; რომ სინათლეს მხოლოდ ზოგიერთს უთიშავენ, როცა დენს გადაქარბებულად ხმარობს.

— ზოგიერთებსო?! ზოგიერთებს კი არა, სინათლე, ჩემს გარდა, ყველასა აქვს. თუ არ გჯერათ, წამობრძანდით და გაჩვენებთ.

წავედით, წავეყვით პროფესორს.

პირველად ძერჯინსკის ქუჩის № 9 სახლში მივიყვანა, მოქალაქე სერგო ბერიევის ოჯახში:

— ა, ბატონო, ნახე თუ ყველას არა აქვს ჩემს გარდა, დღედაღამ უნთიათ, რასაც უნდათ იმას უერთებენ!

ხმა ვერ ამოვიღეთ. დიმიტრიმ მრავალი ბინა გვაჩვენა თბილისში, საგანგებოდ გაჩირაღდებული, საგანგებო ხაზშეყვანილი, ყველასაგან გამორჩეული. ზოგ მათგანს აქვე დავასახელებთ: ჰაზირას შესახვევში, № 4 სახლში, ხ. კრუნკოვი გაუხარებია ეკონომიის გარეშე ხმარებულ ელდენს, ბესიკის № 5-ში — მიხეილ არუთინოვი, პეტრიწის ქ. № 1 მცხოვრები დავით მთავრიშვილი მთვარეს დასცინის — „მე მომხედ, შენ რა სინათლე გაქვსო“, ა. ჭავჭავაძის 16-ში განცხრომილი ა. ფაშალიშვილი ელდენით ისეა უზრუნველყოფილი, რომ მზეს იწუნებს. ახლა არსენას ქუჩას ჩამოვეყვით: 23 ნომერში ორი მეზობლის ოთხ სარკმლიდან უშადლისას ისეთი სინათლე გამოვარდა, კინალამ თვალეში მოგვჭრა. ამ ბინებში ცხოვრობენ მოქ. კამო ზავრადაშვილი და შოთა გვარჯალაძე. კიდევ რამდენი ეზო ჩამოგვატარა პროფესორმა, სად არ შეგვიძღვა და რამდენი სინათლე შემოგვეფრქვა თვალეში!

— ეს არის, ბატონო, საქმე? ჩემზე უფრო ვინმეს სკირდება სინათლე?! ჩემზე უფრო ეკონომიურად ხარჯავენ? გადამიჭრეს და აღარ მაძღვენ!

დიმიტრის აგიტსაათი ჩაეუტარეთ და იქამდე მივიყვანეთ, რომ კინალამ სახლში წაგვიყვანა და პარაფინის სანთელი რომ ჰქონდა მომარაგებული, ლამის ისიც ჩვენ გამოგვატანა.

დიმიტრი წავიდა, მაგრამ ჩვენ ერთმა საკითხმა დაგვაფიქრა: მარტო ეს რამდენიმე კაცი ხომ არ არის ასე პატივცემი თბილისში? განა ძერჯინსკის ქუჩაზე მცხოვრები იუსუფ ტახმაზოვი, რუსთაველის 14-ში მცხოვრები შამირამ ტერ-არუთინოვი, ეჩმიადინის ქუჩის № 1 სახლის მკვიდრი გარეგინ პაპახიანი და სხვა მრავალი მათგანი დღედაღამ გაჩირაღდებულ ბინაში არ ზის და მეზობლებს კი ელდენის ეკონომიისაკენ არ მოუწოდებს?

ვინ არიან დაცინვის ეს ოსტატები?

თელასის მონტიორები, კონტროლიორები, დენის ჩამრთველ-გამომრთველ-მმართველები, ისინი, ვინც მოქალაქეთა ბინებში დადიან და ამოწმებენ, რომ სინათლე გადაქარბებულად არაფინ დახარჯოს.

ძალაუნებურად გვაგონდება ის ყასაბი, რომელმაც თავებს რომ ხორცი არ შეეჭამათ, კატა დაუყენა დარაჯად.


თუმცა ეს შედარება აქ რამდენადმე უადგილოა, რადგან ჩვენი დარაჯები, როგორც ქალაქში დაბეჯითებით ლაპარაკობენ, მარტო თავიანთ ბინებს არ აფრქვევენ უკანონო ზედმეტ უხვ სინათლეს.

გ. კოკინთელი

## გამოსული გაყიდვანი



— ბატონო და კალოშები გნებავთ? ახლა არ გახლავთ, მაგრამ იმედოვნებ, გაივლის თებერვალი, გაზაფხულდება და მოზრძანდით, მაშინ თავზეხაყრელად იქნება.



...გამარჯობა, ძმო ვარლამ! ძალიან მომენტარეთ. რაც საწყალი დედაჩვენი დავასაფლავეთ, მას შემდეგ აღარც ჩამოვსულვარ. ახლა სინდისი მაწუხებს, ერთი-ორი ყვავილი მაინც დამედო დედის საფლავზე.

სხვა? ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ვარ ძველებურად, მაგრამ ფოსტაში მუშაობაზე გული გამიტყდა. რატომო არ მკითხავ? ახლავე მოგახსენებ ყველაფერს. ალბათ გაგიკვირდება ჩემგან რომ ამ წერილს მიიღებ; „არასდროს მოუწერია და ახლა რა მოელანდაო“—ასე იტყვი, მაგრამ მინდა გული გადავავლო და პატარა სათხოვარიც მაქვს შენთან.

ამას წინათ, წესისდაგვარად, დილაადრიანად გამოვცხადდი ფოსტაში, ჩვენს უბანში დასარიგებელი ჟურნალ-გაზეთები და წერილები ჩავიბარე და გზას გავუდექი. მივფრატუნობ ეს მოხუცი კაცი და თან ახალ-ახალ გაზეთებს ვათვალთვრებ. უცებ ვხედავ „კომუნისტის“ პირველ გვერდზე პრეზიდენტის ბრძანებულება ჩვენი ქეთევანის მეორე ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოების შესახებ. დედა!—შეგვივირე სიხარულისაგან,—გაგიყდება ახლა ჩვენი გმირი ქალი-მეთქი. მართალი ვითხრა—ძალიან მესიამოვნა: მუშაობს და აფასებენ კიდევაც. მაშინვე პლანტაციებისაკენ გავუხვიე. ვიცოდი იქ იქნებოდა ქეთევანი. რამდენადაც შემეძლო გავიქეცი. მივედი და რას ვხედავ: ქალებს ჩაის კრეფა მიუტოვებიათ, ერთად მოუყრიათ თავი და შუაში ქეთევანი ჩაუყენებიათ. ქეთევანს კი ხელში „კომუნისტი“ უჭირავს და აღელვებისაგან გამართულად ველარც კითხულობს ბრძანებულებას. ქალებმა შემამჩნიეს და შემომძახეს: „ბიძია სამსონ, ვაიგე? ქეთევანი დაუჯილდოებიათ!“ „მართლა?“—ვუპასუხე გაბრაზებულმა, მერე ვითომ მშვიდად ვკითხე: „ვინ მოგვითხროს?“ ქალებმა პლანტაციის ბოლოს ვილაც უცხო კაცი დამანახვეს, კოლქტივის თავმჯდომარესთან ერთად გარს უტრიალებდა რაღაც ახალ მანქანას, ხან ამუშავებდა და ხან ჩააქრობდა. თურმე ის კაცი ინჟინერი ყოფილა—ჩაის საკრეფი მანქანა გამოუგონია, იმ დღით ჩამოსულა თბილისიდან და სადგურიდან პირდაპირ კოლმეურნეობაში გაუვლია. ასე რომ, ჩემო ვარლამ, დავრჩი ხახამშრალი, შემირჩა ჩემი სირბილიც და ჩემი გაზეთიც. შენ იფიქრებ ახლა, ეს ამბავი რა გულგასატეხიაო, მაგრამ ჯერ მომიტმინე, როგორც მე ვითმენდი ფოსტაში მუშაობას.

ხუთი ექვსი კვირის შემდეგ დეპეშა მოვიდა თბილისიდან. კოლმეურნეობის თავმჯდომარეს სწერდნენ: „ორგზის გმირის ქეთევან ცინცაძის ბიუსტის გამოსაძერწად ჩამოვა ესა და ეს ახალგაზრდა მოქანდაკე და ხელი შეუწყვეთო“. ისე შენ გაიხარე, როგორც მე ეს გამეხარდა. იმ წუთში წარმოვიდგინე, თუ როგორ დადგამდნენ გმირის ბიუსტს ჩვენი სოფლის გზაჯვარედინთან და როგორ გაახსენდებოდა ქეთევანს, პირველად რომ მე ვახარე ბიუსტის ამბავი... თავმჯდომარის მაგვრად ქეთევანის სახლისაკენ გავიქეცი და პირდაპირ კიბეებზე შევბრაზუნდი. სახლში ქეთევანის ბიჭი ზურაბი და ვილაც უცხო ქალიშვილი დამხვდა. დეპეშა რომ ვუჩვენე, ორივემ ალქაჯებივით გადაიხარხარეს, ხან ტახტზე გადაწებდნენ სიცილისაგან, ხან წამოდგებოდნენ და მიწამდე დახრიდნენ თავს. მერე, როგორც იქნა, სული მოითქვეს და თვლებზე ცრემლმორეულმა ზურაბმა მითხრა: „ჩამოდის კი არა, სადა-

ცაა უკან დაბრუნდება თბილისშიო, აი, ეს ქალიშვილი გახლავთ ის მოქანდაკე, ახლა ჩვენთან ცხოვრობს და გაიცანი-თო“. მერე უშუაბანდში გამიყვანეს და ქეთევანის ქანდაკება მიჩვენეს. რა უნდა მექნა, „ძალიან დაგიმგვანებიათ, ჩემო ბიძია-თქვა“, შევაქე ის ქალიშვილი და გალახულივით ჩამოვირბინე კიბეები. ახლაც იტყვი, გული რაზე გაგტეხიაო?

ერთი-ორი დღე ვითმინე, მერე შევედი ჩვენი ფოსტის გამგესთან და ვეჩხუბე: „რას გავს ასეთი მუშაობა, რისი ფოსტალიონი მქვიან, სხვებისაგან ვიგებ ახალ ამბებს, მთელი სოფელი ჩემზე იცინის, ან გამოარკვეით ვინ არის დამნაშავე, ან გამანთავისუფლეთ სამუშაოდან-თქვა“. ფოსტის გამგემ ერთი დამიბღვირა, რაღაც კონვერტი გადმომცა და მითხრა: „ეს წერილი ჩააბარე პატრონს და ენას მოუარეო, შენი კრიტიკა-ლა მაკლია ახლაო?“. რა უნდა მექნა, წერილი ჩამოვართვი და გავიფიქრე: „ძალიან იბღინებები ჩემო ბიძია, მაგრამ როგორც საწყობიდან მოგაძრეს, ისე აქედანაც მიგაბრძანებენ“-მეთქი. გარეთ გამოვედი და კონვერტს დავეხდე. ქეთევანის ბიჭის—ზურაბის სახელზე იყო, ქვევით კი ეწერა: გადაეცეს... აღარ მახსოვს იმ ახალგაზრდა მოქანდაკის სახელი. მივედი და წერილი გადავეცი. მოქანდაკე ქალი სახლში მართო იყო და ქეთევანის ქანდაკებაზე მუშაობდა, შევატყვე, რომ გაუკვირდა. მერე ჩემი თანდასწრებით გახსნა კონვერტი, წაიკითხა, ცოტა შეწითლდა და მითხრა: „დიდი მადლობა ძია, მაგრამ სულაც რომ არ მოგეტანათ, არაფერი დასაუფლებოდაო“. მაინცდამაინც მე არ გამკვირვებია ასეთი პასუხი, უკვე შეჩვეული ვიყავი.

დავემშვიდობე და წამოვძინდი. მერე გავიგე, თურმე, იმ შეჩვენებულ ზურაბს შეყვარებია ეს მოქანდაკე გოგო. პირდაპირ—ერ გაუბედნია თქმა, ვერც შუაკაცი ჩაურევია ამ საქმეში. ბოლოს თავისივე მისაპართით მოუწერია წერილი გოგოსათვის და ჩვენს ფოსტაში ჩაუგდია... მაგრამ სანამ ამ წერილს ყუთიდან ამოიღებდნენ, ბექედს დაარტყამდნენ, გადააღებდნენ და გადმოაღებდნენ, სანამ ისევე იქ წავიღებდი, საიდანაც გამოგაზანეს, ზურაბს ველარ მოუთმენია, მიუფურთხებია ეშმაკისათვის და გოგოსათვის ყველაფერი უთქვამს.

ასე რომ, ჩემო ვარლამ, ერთი კვირაა უკვე სახლში ვზივარ, როგორც იქნა ვავთავისუფლდი სამუშაოდან. ახლა სათხოვარი მაქვს შენთან, ჩვენს ძმობას გაფიცებ, შეიარე თქვენი სოფლის ფოსტაში და გამიგერამე ადგილი ხომ არ არის. მაინც არ ექნებათ ასე აწეწილი საქმე. ამ წერილს ჩემს ერთ ნაცნობს ვატან, ფოსტას როგორ ვენდობი, ღმერთმა დამიფაროს! ვარლამ, ერთ წუთს დამიცადე, ვილაცა მეძახის ეზოდან...

...ვაგრძელებ წერილის წერას. ჩვენი ახალი ფოსტალიონი მეძახდა, საწყალი დედაჩემის გამოგზავნილი წერილი მომიტანა. ვითომ ცოცხალი იყოს, ისე გამეხარდა. როგორ მეალერსება საცოდავი, როგორ მარიგებს—თავს მოუარეო, სოფელში სიარულს ველარ შეძლებ და სხვა სამუშაოს მოჰკიდე ხელიო. ის უბედური, სიკვდილის შემდეგაც მარიგებს კქუას. ამ თვის დამლევეს იქნებ ამოვიდე თქვენსკენ, ჩემო ვარლამ ერთ-ორ ყვავილს მაინც დავადებ დედის საფლავს.

შენი ძმა სამსონი.

ედ. ყიფიანი



## მენავთე გასკაპა და პავაია გოგი

### ჩვენი სოფლის სკაითი

მართალია, ხუთი წელია ჩემს სამ-  
შობლოში, ქვემო მაღაროში არ ვყო-  
ფილვარ, მაგრამ ვერ წარმომედგინა,  
თუ ხუთი წლის მანძილზე სოფელში  
ამდენი ცვლილება დამხვდებოდა.

—ოჰო, დიდი ამბავია!..—გაიფიქრებს  
ალბათ მკითხველი.—ჩვენში წლები კი  
არა, თვეებიც კი კმარა იმისათვის, რომ  
სოფელმა სახე იცვალოს.

ამ სიტყვების სიმართლე სიღნაღის  
რაიონის სხვა სოფლებმა დამიდასტუ-  
რეს, რომლებიც ჩემს სოფელში მისვლა-  
მდე გზად გავიარე. ყოველ ნაბიჯზე ახა-  
ლი შენობები, ახალი ნაგებობანი...

მაგრამ მე რომ ქვემო მაღარო შე-  
ცვლილი დამხვდა, ასეთი რამ არასოდეს  
მენახა.

სადღა იყო წისქვილი, ჩვენი წისქვი-  
ლი, რომელიც მთელ სოფელს მომსა-  
ხურებას უწევდა. ბავშვობის რამდენი  
ტკბილი მოგონება გაჰყვა მას თან.  
მხოლოდ ობლად მიტოვებული ღარი  
დარჩა წისქვილის ტკბილ მოსაგონრად.

შარშანდელი თოვლივით გამქრალიყო  
ავტურ-კრამიტის ქარხანა, აბანო, კლუ-  
ბი...

ცალ გვერდზე გადაზნექილიყო კოლ-  
მეურნეობის გამგეობის შენობა. ფარლა-  
ლად დარჩენილი კედლები დატან-  
ჯულ ხელებივით მალლა აეშვირა, თით-  
ქოს ზეცას შეეღას თხოვსო.

აი, როგორი დამხვდა ჩემი მშობლი-  
ური სოფელი...

და ამის შემდეგ კადევ იტყვით, თითქოს  
განსაკუთრებით აღსანიშნავი არ იყე-  
ნენ ქვემო მაღაროს სოფლის ხელმძღვა-  
ნელები, რომლებმაც ასეთი გაჩანაგების  
პირად მიიყვანეს ჩვენი სოფელი?..

8. ტუკაზმილი



— ერთი-ორი ლიტრი ნავთი მაინც დამითმე, ძია, სკოლაში მივიჩქა-  
რი... დრო არა მაქვს.  
— შენ რა ხარ და შენი მოცემული ფული რა იქნება?! ეს ნავთი სხვა  
ნავთია, წინასწარი „ზაკაზით“ მიღის.



### ფილარმონიის ჩაუკრუარი

ჩიტკორესპონდენტმა ფრენით და  
კიკიკით ასეთი ფოტო შემოაფრინა.  
ამ სურათზე მართლაც ნათლად ჩანს  
საქფილარმონიის მოღვაწეობა ზამთრის  
პერიოდში. განსაკუთრებით უურად-  
ლებას იპყრობს რეპერტუარი.

ჩვენ მხოლოდ გვინდა დირექციას  
გავახსენოთ, რომ „ხინკალი“ და „ხა-  
ში“ თუ ზამთრის თვეებში ასე თუ ისე  
გვაკმაყოფილებდა, ზაფხულისთვის იგი  
ყოფლად მიუღებელია და საჭიროა სა-  
თანადო ზომების მიღება, რათა საქ-  
ფილარმონიის ბალისთვის საზაფხუ-  
ლოდ შესაფერი რეპერტუარი შეიქმნას.

დელი-ოდინაგაპე

რედაქტორი კ ა რ ლ ო კ ა ლ ა ძ ე. სარედაქციო კოლეგია: გრ. აბაშიძე, აკ. ბელიაშვილი,  
ი. გრიშაშვილი, უჩა ჯაფარიძე, ი. ნონეშვილი, ს. ფაშალიშვილი.

თბილისი. სატირიკო-ჰუმორისტული ჟურნალი „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-40.

ხელმოწ. დასახ. 9/11 1954 წ. სტამბა „ზარია ვოსტოკა“, რუსთაველის პროსპ. № 42. შეკ. № 812 გამოც. № 3 ტირ. 15.000 შუი 00286.

54-52



ქართული  
ლიბრერი

შეერთებული შტატების მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება  
გაუწიოს პაკისტანს „დახმარება“ 20.000.000 დოლარით.

— ღმერთო, დაგვიხსენ მუდამ ასეთი დახმარებისაგან!

